დანართი №1
2020 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ე.ტ.№151-20 ხელშეკრულებაზე (NAT200010137)

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება _ **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „კრისტალი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის, **გივი სვანიძის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის 2020 წლის 12 ნოემბრის №11087-2 მოხსენებითი ბარათის და 2020 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№151-20 ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2020 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№151-20 ხელშეკრულებაში (ქ. ვანიდან მდ. ყუმურის შესართავამდე მდ. ყუმურის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები) და დაემატოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი თანდართული რედაქციით.

2. წინამდებარე დანართზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი (იხ. დანართი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები აწარმოოს აღნიშნული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. წინამდებარე დანართი მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით და მისი ელექტრონული ვერსია წარმოადგენს დოკუმენტის დედანს.

6. დანართი შედგენილია ქ. თბილისში, 2020 წლის 13 ნოემბერს და ხელმოწერილია ელექტრონულად მხარეთა მიერ.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე თევდორაძე

Aleksandre Tevdoradze
Digitally signed by Aleksandre Tevdoradze
Date: 2020.11.16 17:57:52 +04'00'

მიმწოდებელი
შპს „კრისტალი“
დირექტორი
გივი სვანიძე

Givi Svanidze
Digitally signed by Givi Svanidze
Date: 2020.11.16 14:40:05 +04'00'